



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

არქიტექტურა
Architecture

ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
Faculty of Architecture, Urban Planning and Design

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი (მოწვეული) ლევან ბერიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

<p>არქიტექტურის მაგისტრი არჩეული სამაგისტრო თემატიკის შესაბამისი სპეციალიზაციით:</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურის მაგისტრი შენობა-ნაგებობათა არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სპეციალიზაციით; • არქიტექტურის მაგისტრი ლანდშაფტური არქიტექტურის სპეციალიზაციით; • არქიტექტურის მაგისტრი გარემოს დიზაინის სპეციალიზაციით; • არქიტექტურის მაგისტრი ინტერიერის დიზაინის სპეციალიზაციით. <p>Master of Architecture in the specialization relevant to the selected them:</p> <ul style="list-style-type: none"> • Master of Architecture in the specialization of Architecture and Urban Planning; • Master of Architecture in the specialization of Landscape Architecture; • Master of Architecture in the specialization of Environmental Design; • Master of Architecture in the specialization of Interior Design. <p><i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i></p>

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

<p>მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://www.gtu.ge/study/index.php გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>

პროგრამის აღწერა

როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში.

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) და მთავრდება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან 15 სასწავლო კვირას (სააუდიტორიო მეცადინეობები), 4 სასესიო კვირას (დასკვნითი და დამატებითი გამოცდები), ასევე ერთ შუასემესტრული გამოცდისთვის განკუთვნილ კვირას.

პროგრამის მთლიანი მოცულობა არის 120 კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები) - 75 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი 5 კრედიტი, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი 10 კრედიტი, საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა 30 კრედიტი) - 45 კრედიტი; აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, სემესტრში - 30 კრედიტი.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, კერძოდ, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 (დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 20), ხოლო შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა - 60. ამასთან, შუალედური შეფასება მოიცავს 2 კომპონენტს: შუასემესტრულ გამოცდას და მიმდინარე აქტივობის შეფასებას (ტესტირება, პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულება, სემინარზე აქტივობა და სხვ.). შუასემესტრული გამოცდა შეფასების აუცილებელი კომპონენტია, მისი მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა 15 ქულა. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა.

კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. მისი მაქსიმალური შეფასების ქულაა 100, მინიმალური დადებითი შეფასებაა 51 ქულა. კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულით და აუცილებელია მისი საჯარო დაცვა, რომელსაც აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისია.

მაგისტრატურის პროგრამა „არქიტექტურა“ მოიცავს 5 სამაგისტრო თემატიკას: „შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა“, „ურბანული დაგეგმარება“, „ლანდშაფტური არქიტექტურა“, „გარემოს დიზაინი“, „ინტერიერის დიზაინი“.

მაგისტრატურის პროგრამა „არქიტექტურა“-ზე მოხვედრილი ყველა სტუდენტი, მიუხედავად იმისა თუ რომელ თემატიკაზე სურთ მათ სწავლის გაგრძელება სწავლების პირველ და მეორე სემესტრში გადიან ზოგად 3 საგანს, ეს საგნებია უცხოური ენების (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული) არჩევითი სასწავლო კურსები - „ბიზნესკომუნიკაცია“ და „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ და ასევე „სამეწარმეო და ტენოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“ (სულ 15 კრედიტი).

ამავე დროს სტუდენტი ეუფლება სასურველი თემატიკის ფარგლებში სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებულ საგნებს: „შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა“-ს სამაგისტრო თემატიკაში ეს არის 10 სავალდებულო და ერთი არჩევითი სასწავლო კურსი (სულ 60 კრედიტი); სამაგისტრო თემატიკაში „ურბანული დაგეგმარება“ ეს კვლავ არის 10 სავალდებულო და ერთი არჩევითი სასწავლო კურსი (სულ 60 კრედიტი); სამაგისტრო თემატიკებში „ლანდშაფტური არქიტექტურა“ და „გარემოს დიზაინი“ ეს არის 9-9 სავალდებულო სასწავლო კურსი (სულ 60-60 კრედიტი); სამაგისტრო თემატიკაში „ინტერიერის დიზაინი“ ეს არის 8 სავალდებულო სასწავლო კურსი (სულ 60 კრედიტი). შედეგად, რომელ სამაგისტრო თემატიკაზეც არ უნდა იყოს სტუდენტი ჯამში ის 75 კრედიტს აგროვებს სასწავლო კომპონენტით (60 კრედიტი ძირითადი სპეციალობის და 15 კრედიტი ზოგადი საგნების).

120 კრედიტის დაგროვების მიზნით სტუდენტი არჩეული სამაგისტრო თემატიკის შესაბამისად გადის კვლევით კომპონენტს, ეს არის: სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი (I კურსის II სემესტრი - 5 კრედიტი), თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი (II კურსის I სემესტრი - 10 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (II კურსის II სემესტრი - 30 კრედიტი).

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ირჩევს და წარმატებით ასრულებს სწავლას სამაგისტრო თემატიკაზე:

„შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა“ ან „ურბანული დაგეგმარება“ მას ენიჭება კვალიფიკაცია - არქიტექტურის მაგისტრი შენობა-ნაგებობათა არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების

სპეციალიზაციით;

„ლანდშაფტური არქიტექტურა“ მას ენიჭება კვალიფიკაცია - არქიტექტურის მაგისტრი ლანდშაფტური არქიტექტურის სპეციალიზაციით;

„გარემოს დიზაინი“ მას ენიჭება კვალიფიკაცია - არქიტექტურის მაგისტრი გარემოს დიზაინის სპეციალიზაციით;

„ინტერიერის დიზაინი“ მას ენიჭება კვალიფიკაცია - არქიტექტურის მაგისტრი ინტერიერის დიზაინის სპეციალიზაციით.

მაგისტრატურის პროგრამა „არქიტექტურა“ შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებასთან მაგისტრატურის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საიტზე, მისამართზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleba_2017_SD.pdf

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_dan4_80217_SD.pdf

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი პროფესიონალი, რომლის მოღვაწეობის ძირითადი სფერო იქნება არქიტექტურის დარგში პრაქტიკული თუ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. მას ექნება შესაბამისი ცოდნა და უნარი იმისა, რომ დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა არქიტექტურული გარემოს კეთილმოწყობისა და სხვადასხვა დანიშნულების არქიტექტურული ობიექტების დაპროექტების თუ განხორციელების პროცესში.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

1.სპეციალიზაცია – შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა და ურბანული დაგეგმარება.

ცოდნა და გაცნობიერება:

არქიტექტურული მოღვაწეობის სფეროს, ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირების, ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის და ურბანული რეკონსტრუქციის პროექტირების პრობლემური საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც იძლევა ნოვატორული იდეების შემუშავების და ცალკეული პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების გაცნობიერების საშუალებას; არქიტექტურულ და ქალაქგეგმარებით პროექტირებაზე გავლენის მქონე მომიჯნავე სფეროების, ტექნოლოგიების და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებისას და ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირებისას, პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების გამოყენება; ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის თვალსაზრისით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით პროექტირების პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა; მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით, არქიტექტურული ენითა და საშუალებებით არქიტექტურული ნამუშევრების შექმნა.

დასკვნის უნარი:

არქიტექტურის და ურბანისტიკის დარგში არსებული უახლესი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და ლოგიკური აზროვნების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს არქიტექტურულ, ესთეტიურ, ეკოლოგიურ, ქალაქგეგმარებით, საინჟინრო-ტექნიკურ ასპექტებს. არქიტექტურული საქმიანობის პროცესში, მონაცემების სისტემატიზაციის საფუძველზე,

სათანადო კრიტერიუმების და პრინციპების შემუშავების გზით გადაწყვეტილებების მიღება.

კომუნიკაციის უნარი:

იდევნის, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაცია; პროფესიული ინფორმაციის ზეპირად გადაცემა; აუდიტორიის წინაშე საკუთარი იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების წარდგენა. ვიზუალური კომუნიკაციის ხერხების (მექანიკური, ელექტრონული, გრაფიკული ჩანახატები და მაკეტები) მაღალ პროფესიულ დონეზე ფლობა და მათი საშუალებით ზემოქმედება.

სწავლის უნარი:

სწავლის პროცესის თავისებურებების გაანალიზება და სტრატეგიულად დაგეგმვა. შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და დამოუკიდებლად წარმართვა. პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.

ღირებულებები:

არქიტექტურული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; არქიტექტურის სფეროში საავტორო უფლებების, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ეთიკის კოდექსებით გათვალისწინებული ნორმების დაცვა.

2. სპეციალიზაცია – ლანდშაფტური არქიტექტურა

ცოდნა და გაცნობიერება:

ლანდშაფტური პროექტირების პრობლემური საკითხების, ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირების და ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემური საკითხების დრმა და სისტემური ცოდნა, რაც იძლევა ახალი იდეების შემუშავების და ცალკეული პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების გაცნობიერების საშუალებას; ლანდშაფტურ პროექტირებაზე გავლენის მქონე მომიჯნავე სფეროების, ფიტოდიზაინისა და მეცხვავილეობის ტექნოლოგიების და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ლანდშაფტური პროექტირების პროცესში მონაცემების სისტემატიზაციის საფუძველზე, სათანადო კრიტერიუმების და პრინციპების შემუშავების გზით გადაწყვეტილებების მიღება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით პროექტირების პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა; ლანდშაფტური არქიტექტურის ენითა და საშუალებებით არქიტექტურული ნამუშევრების შექმნა.

დასკვნის უნარი:

ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში არსებული უახლესი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და ლოგიკური აზროვნების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს არქიტექტურულ, ესთეტიურ, ეკოლოგიურ, ქალაქგეგმარებით ასპექტებს.

კომუნიკაციის უნარი:

იდევნის, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაცია; პროფესიული ინფორმაციის ზეპირად გადაცემა; აუდიტორიის წინაშე საკუთარი იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების წარდგენა. ვიზუალური კომუნიკაციის ხერხების (მექანიკური, ელექტრონული,

გრაფიკული ჩანახატები და მაკეტები) მაღალ პროფესიულ დონეზე ფლობა და მათი საშუალებით ზემოქმედება.

სწავლის უნარი:

სწავლის პროცესის თავისებურებების გაანალიზება და სტრატეგიულად დაგეგმვა. შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და დამოუკიდებლად წარმართვა. პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.

ღირებულებები:

არქიტექტურული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; არქიტექტურის სფეროში საავტორო უფლებების, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ეთიკის კოდექსებით გათვალისწინებული ნორმების დაცვა.

3. სპეციალიზაცია – გარემოს დიზაინი

ცოდნა და გაცნობიერება:

ურბანული სივრცის დიზაინური ორგანიზების პრობლემური საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, დიზაინურ დაგეგმარებაზე გავლენის მქონე მომიჯნავე სფეროების, ტექნოლოგიების და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება, რაც იძლევა ახალი იდეების შემუშავების და ცალკეული პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების გაცნობიერების საშუალებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ურბანული სივრცის დიზაინური ორგანიზების პროცესში, მონაცემების სისტემატიზაციის საფუძველზე, სათანადო კრიტერიუმების და პრინციპების შემუშავების გზით გადაწყვეტილებების მიღება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით პროექტირების პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა; დიზაინური დაგეგმარების პროცესში შესაბამისი საშუალებებით არქიტექტურული ნამუშევრების შექმნა.

დასკვნის უნარი:

ურბანული სივრცის დიზაინური ორგანიზების დარგში არსებული უახლესი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და ლოგიკური აზროვნების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს არქიტექტურულ, ესთეტიურ, ქალაქგეგმარებით ასპექტებს.

კომუნიკაციის უნარი:

იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაცია; პროფესიული ინფორმაციის ზეპირად გადაცემა; აუდიტორიის წინაშე საკუთარი იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების წარდგენა. ვიზუალური კომუნიკაციის ხერხების (მექანიკური, ელექტრონული, გრაფიკული ჩანახატები და მაკეტები) მაღალ პროფესიულ დონეზე ფლობა და მათი საშუალებით ზემოქმედება.

სწავლის უნარი:

სწავლის პროცესის თავისებურებების გაანალიზება და სტრატეგიულად დაგეგმვა. შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და დამოუკიდებლად წარმართვა. პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით

საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.

ღირებულებები:

არქიტექტურული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; არქიტექტურის სფეროში საავტორო უფლებების, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ეთიკის კოდექსებით გათვალისწინებული ნორმების დაცვა.

4. სპეციალიზაცია – ინტერიერის დიზაინი

ცოდნა და გაცნობიერება- ინტერიერების სხვადასხვა სტილისტური მიმდინარეობებისა და მათი თავისებურებების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც იძლევა ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერების საშუალებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სხვადასხვა დანიშნულებისა და სტილის ინტერიერების პროექტირებისას კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

დასკვნის უნარი - სხვადასხვა დანიშნულების ინტერიერისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის, მათ შორის ამ სფეროში უახლესი კვლევებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი:

იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაცია; პროფესიული ინფორმაციის ზეპირად გადაცემა; აუდიტორიის წინაშე საკუთარი იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების წარდგენა. ვიზუალური კომუნიკაციის ხერხების (მექანიკური, ელექტრონული, გრაფიკული ჩანახატები და მაკეტები) მაღალ პროფესიულ დონეზე ფლობა და მათი საშუალებით ზემოქმედება.

სწავლის უნარი:

სწავლის პროცესის თავისებურებების გაანალიზება და სტრატეგიულად დაგეგმვა. შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და დამოუკიდებლად წარმართვა. პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.

ღირებულებები:

არქიტექტურული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; არქიტექტურის სფეროში საავტორო უფლებების, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ეთიკის კოდექსებით გათვალისწინებული ნორმების დაცვა.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია
- სემინარი (ჯგუფში მუშაობა)
- პრაქტიკული
- ლაბორატორიული
- პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო/პროექტი
- სამაგისტრო ნაშრომი
- კონსულტაცია
- დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლებსწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე

გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიხარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
5. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.
6. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
 - დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
 - შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
 - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
 - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
 - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
7. **როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
8. **დემონსტრირების მეთოდი** – აქტივობის ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
9. **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
10. **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
11. **ანალიზის მეთოდი** გვხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ

ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. 5

12. **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
13. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
14. **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.
15. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
16. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
17. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამდღებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

- ადგილობრივი თვითმართვლობის (სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი) ორგანოები;
- არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;
- არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები და ფონდები;
- მასმედიის საშუალებები და სარეკლამო კომპანიები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სპეციალიზებული სკოლები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 64

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი				
			I წელი		II წელი		
			სემესტრი				
			I	II	III	IV	
1	არჩევითი (უცხოური ენა) 1						
1.1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	არ აქვს	5				
1.2	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)	არ აქვს					
1.3	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)	არ აქვს					
1.4	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)	არ აქვს					
2	არჩევითი (უცხოური ენა) 2						
2.1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ აქვს		5			
2.2	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	არ აქვს					
2.3	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	არ აქვს					
2.4	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს					
3	სამეწარმეო და ტენოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	არ აქვს	5				
	სემესტრში:		10	5			
	სულ:		15				
4-14	სამაგისტრო თემატიკა: „შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა“						
4	საცხოვრისი - ანამნეზი დროსა და სივრცეში	არ აქვს	5				
5	არქიტექტურული პროექტი 1	არ აქვს	5				
6	მდგრადი განვითარების შენობების არქიტექტურა	არ აქვს	5				
7	შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქცია-რესტავრაცია	არ აქვს	5				
8	არქიტექტურული ფიზიკა და არქიტექტურა	არ აქვს		5			
9	კულტურის სემიოტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა	არ აქვს		5			
10	არქიტექტურული პროექტი 2	არქიტექტურ. პროექტი 1		6			
11	მაღლივი შენობების არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები	არ აქვს		4			

12	არქიტექტურის თეორია და პრაქტიკა, კვლევა-განზოგადება	არ აქვს			5	
13	არქიტექტურული პროექტი 3	არქიტექტურ. პროექტი 2			10	
14	არჩევითი საგნები N1					
14.1	ეკოლოგიური არქიტექტურა	არ აქვს			5	
14.2	სივრცითი არქიტექტურული კონსტრუქციები	მდგრადი განვითარების შენობების არქიტექტურა				
14.3	არქიტექტურული ბიონიკა	არქიტექტურული ფიზიკა და არქიტექტ.				
14.4	მდგრადი განვითარების შენობების არქიტექტურული კონსტრუქციები	მდგრადი განვითარების შენობების არქიტექტურა				
14.5	მაღლივი შენობების დაპროექტების პრინციპები	არ აქვს				
14.6	ბიონიკური ფორმების კომპიუტერული მოდელირება	არ აქვს				
		სემესტრში	20	20		20
		სულ:		60		
15-25	სამაგისტრო თემატიკა: „ურბანული დაგეგმარება“					
15	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები	არ აქვს	5			
16	ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება	არ აქვს	5			
17	ქალაქმშენებლობითი კლიმატოლოგია და არქიტექტურული ფიზიკა	არ აქვს	5			
18	ქალაქგეგმარების რეკონსტრუქციის და ეკოლოგიის სატრანსპორტო პრობლემები	არ აქვს	5			
19	ურბანიზირებული და ბუნებრივი ლანდშაფტების ტერიტორიების ურთიერთობა	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები			7	
20	ქალაქის პროექტირება (მცირე ქალაქის საცხოვრებელი რაიონი)	ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება			7	
21	ქალაქის ისტორიული კვარტალის ურბანული და მოცულობით-სივრცითი რეკონსტრუქციის პროექტი (ფარული რეკონსტრუქცია)	არ აქვს			6	
22	ქალაქის ტერიტორიის ეკოლოგიური მდგრადობა	არ აქვს			6	
23	ქალაქის პროექტირება (ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია)	ქალაქის პროექტირება			6	

		(მცირე ქალაქ-საცხოვრებელი რაიონი)				
24	ისტორიული განაშენების ურბანული რეკონსტრუქციის პროექტი	ქალაქის ისტ. კვარტალის ურბანული და მოცულობით-სივრცითი რეკონსტრუქციის პროექტი (ფარული რეკონსტრ.)			5	
25	არჩევითი საგნები N2					
25.1	ქალაქის სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემები, სისტემის “ადამიანი-ბუნებრივი გარემოს” ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიის საკითხები	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები				
25.2	ქალაქთმშენებლობის თეორიის ესთეტიკის საკითხები	ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება			3	
25.3	ისტორიული გარემოს დაცვის, კომპლექსური რეკონსტრუქციის პრინციპები	ისტორიული განაშენების ურბანული რეკონსტრუქციის პროექტი				
25.4	ქალაქის გარემოს კომპიუტერული მოდელირება	არ აქვს				
		სემესტრში		20	20	20
		სულ:		60		
26-34	სამაგისტრო თემატიკა: „ლანდშაფტური არქიტექტურა“					
26	ლანდშაფტური პროექტირების ქალაქგეგმარებითი პრობლემები	არ აქვს	5			
27	ლანდშაფტური არქიტექტურის ისტორია - ძირითადი სტილები და მიმართულებები	არ აქვს	5			
28	ლანდშაფტის დაპროექტება: საქალაქო რეკრეაციული სივრცეების დაპროექტება	არ აქვს	10			
29	ქალაქის გამწვანების ძირითადი პრინციპები	არ აქვს		5		
30	დეკორატიული დენდროლოგია და მცენარეთა კომპოზიციის საკითხები	არ აქვს		5		
31	თბილისის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები	არ აქვს		10		
32	ლანდშაფტის დაპროექტება: ქალაქის ცენტრალური ნაწილის არქიტექტურულ-ლანდშაფტური რეკონსტრუქცია	ლანდშაფტ. არქიტექტურის ისტორია - ძირითადი სტილები და მიმართულებ.			10	

33	ლანდშაფტის დაპროექტება: ისტორიული ბაღის რეკონსტრუქცია	ლანდშაფტის დაპროექტება: საქალაქო რეკრეაციული სივრცეების დაპროექტება			5	
34	მეყვავილეობა და ფიტოდიაინი	არ აქვს			5	
		სემესტრში	20	20	20	
		სულ:		60		
35-43 სამაგისტრო თემატიკა: „გარემოს დიზაინი“						
35	ურბანული სივრცის დიზაინური დაგეგმარება	არ აქვს	10			
36	ქალაქის კოლორისტიკა	არ აქვს	5			
37	ავეჯი და ერგონომიკა	არ აქვს	5			
38	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 1	ურბანული სივრცის დიზაინური დაგეგმარება		10		
39	მცირე არქიტექტურული ფორმები	არ აქვს		5		
40	გარე რეკლამა და ღამის განათება	არ აქვს		5		
41	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 2	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 1			10	
42	გარემოს დიზაინის 3D მოდელირება	არ აქვს			5	
43	ფოტო-ვიდეო ხელოვნება	არ აქვს			5	
		სემესტრში	20	20	20	
		სულ:		60		
44-50 სამაგისტრო თემატიკა: „ინტერიერის დიზაინი“						
44	ინტერიერის 3D მოდელირება	არ აქვს	10			
45	სტილი და სტილისტიკა ინტერიერში	არ აქვს	5			
37	ავეჯი და ერგონომიკა	არ აქვს	5			
46	საცხოვრებელი შენობების ინტერიერის დაპროექტება	არ აქვს		10		
47	ტექსტილი ინტერიერში	არ აქვს		5		
48	ფერი და ფაქტურა ინტერიერში	არ აქვს		5		
49	საზოგადოებრივი შენობების ინტერიერი დაპროექტება	არ აქვს			10	
50	სამრეწველო შენობების ინტერიერის დაპროექტება	არ აქვს			10	
		სემესტრში	20	20	20	
		სულ:		60		
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევა. პროექტ./პროსპექტუსი			10	

3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	ყველა სავალდებულო სასწავლო და კვლევითი კომპონენტი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	+	+		+	+	+
	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)	+	+		+	+	+
	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)	+	+		+	+	+
	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)	+	+		+	+	+
2	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	+	+	+	+		
	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	+	+	+	+		
	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	+	+	+	+		
	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	+	+	+	+		
3	სამეწარმეო და ტენოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	+	+			+	
4	საცხოვრისი - ანამნეზი დროსა და სივრცეში	+	+	+	+		
5	არქიტექტურული პროექტი 1	+	+	+		+	+
6	მდგრადი განვითარების შენობების არქიტექტურა	+			+	+	+
7	შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქცია-რესტავრაცია	+	+	+			+
8	არქიტექტურული ფიზიკა და არქიტექტურა	+			+	+	+
9	კულტურის სემიოტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა	+		+		+	+
10	არქიტექტურული პროექტი 2	+	+	+		+	+
11	მაღლივი შენობების არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები	+	+	+	+	+	
12	არქიტექტურის თეორია და პრაქტიკა, კვლევა-	+	+	+	+		+

	განზოგადება						
13	არქიტექტურული პროექტი 3	+	+	+		+	+
14	ეკოლოგიური არქიტექტურა	+	+	+	+		
	სივრცითი არქიტექტურული კონსტრუქციები	+	+	+	+	+	
	არქიტექტურული ბიონიკა	+			+	+	+
	მდგრადი განვითარების შენობების არქიტექტურული კონსტრუქციები	+	+	+	+	+	
14	მაღლივი შენობების დაპროექტების პრინციპები	+			+	+	+
	ბიონიკური ფორმების კომპიუტერული მოდელირება	+	+	+		+	
15	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები	+	+			+	+
16	ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება	+	+	+			+
17	ქალაქმშენებლობითი კლიმატოლოგია და არქიტექტურული ფიზიკა	+			+	+	+
18	ქალაქგეგმარების რეკონსტრუქციის და ეკოლოგიის სატრანსპორტო პრობლემები	+	+		+	+	+
19	ურბანიზირებული და ბუნებრივი ლანდშაფტების ტერიტორიების ურთიერთობა	+	+			+	+
20	ქალაქის პროექტირება (მცირე ქალაქის საცხოვრებელი რაიონი)	+	+			+	
21	ქალაქის ისტორიული კვარტალის ურბანული და მოცულობით-სივრცითი რეკონსტრუქციის პროექტი (ფარული რეკონსტრუქცია)	+	+	+	+		
22	ქალაქის ტერიტორიის ეკოლოგიური მდგრადობა	+	+			+	+
23	ქალაქის პროექტირება (ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია)	+	+			+	
24	ისტორიული განაშენების ურბანული რეკონსტრუქციის პროექტი	+	+	+	+	+	
25	ქალაქის სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემები, სისტემის “ადამიანი-ბუნებრივი გარემოს” ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიის საკითხები	+	+			+	+
	ქალაქთმშენებლობის თეორიის ესთეტიკის საკითხები	+		+	+		
	ისტორიული გარემოს დაცვის, კომპლექსური რეკონსტრუქციის პრინციპები	+	+		+	+	+
25	ქალაქის გარემოს კომპიუტერული მოდელირება	+	+		+		
	26	ლანდშაფტური პროექტირების ქალაქგეგმარებითი პრობლემები	+	+		+	+
27	ლანდშაფტური არქიტექტურის ისტორია - ძირითადი სტილები და მიმართულებები	+	+	+	+	+	+
28	ლანდშაფტის დაპროექტება: საქალაქო რეკრეაციული სივრცეების დაპროექტება	+	+	+	+		
29	ქალაქის გამწვანების ძირითადი პრინციპები	+	+		+	+	+
30	დეკორატიული დენდროლოგია და მცენარეთა კომპოზიციის საკითხები	+	+	+			
31	თბილისის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები	+	+		+	+	+

32	ლანდშაფტის დაპროექტება: ქალაქის ცენტრალური ნაწილის არქიტექტურულ-ლანდშაფტური რეკონსტრუქცია	+	+		+	+	+
33	ლანდშაფტის დაპროექტება: ისტორიული ბადის რეკონსტრუქცია	+	+		+	+	+
34	მეცვავილეობა და ფიტოდიზაინი	+	+		+	+	
35	ურბანული სივრცის დიზაინური დაგეგმარება	+	+	+	+	+	+
36	ქალაქის კოლორისტიკა	+	+	+	+	+	+
37	ავეჯი და ერგონომიკა	+	+	+			
38	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 1	+	+	+	+	+	+
39	მცირე არქიტექტურული ფორმები	+	+	+			+
40	გარე რეკლამა და ღამის განათება	+	+	+	+		
41	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები2	+	+	+	+	+	+
42	გარემოს დიზაინის 3D მოდელირება	+	+	+		+	
43	ფოტო-ვიდეო ხელოვნება	+	+		+		
44	ინტერიერის 3D მოდელირება	+	+	+		+	
45	სტილი და სტილისტიკა ინტერიერში	+	+			+	+
46	საცხოვრებელი შენობების ინტერიერის დაპროექტება	+	+	+		+	
47	ტექსტილი ინტერიერში	+	+	+			
48	ფერი და ფაქტურა ინტერიერში	+	+		+	+	
49	საზოგადოებრივი შენობების ინტერიერი დაპროექტება	+	+	+		+	
50	სამრეწველო შენობების ინტერიერის დაპროექტება	+	+				
კვლევითი კომპონენტი:							
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	+	+	+	+	+	+
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	+	+	+	+	+	+
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	+	+	+	+	+	+

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	LEH12412G1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	5/125			45					2	2	76
	LEH12212G1	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)	5/125			45					2	2	76
	LEH12612G1	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)	5/125			45					2	2	76
	LEH12812G1	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)	5/125			45					2	2	76
2	LEH12512G1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30					2	2	76
	LEH12312G1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15		30					2	2	76
	LEH12712G1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/125	15		30					2	2	76
	LEH12912G1	დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/125	15		30					2	2	76
3	BUA36402G1	სამეწარმეო და ტენოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	5/125	15			30				1	2	77
4	AAC14206G1	საცხოვრისი - ანამნეზი დროსა და სივრცეში	5/125	15					30		1	1	78
5	AAC14306G1	არქიტექტურული პროექტი 1	5/125			30			15		1	1	78
6	AAC14406G1	მდგრადი განვითარების შენობების არქიტექტურა	5/125	15	30						2	1	77
7	AAC14506G1	შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქცია-რესტავრაცია	5/125	6		15		24			2	2	76
8	PHS67506G1	არქიტექტურული ფიზიკა და არქიტექტურა	5/125	15			30				2	1	77
9	AAC14606G1	კულტურის სემიოტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა	5/125	15		30					1	1	78
10	AAC14706G1	არქიტექტურული პროექტი 2	6/150				45		15		1	1	88
11	AAC14806G1	მაღლივი შენობების არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები	4/100	5					25		1	1	68
12	AAC14906G1	არქიტექტურის თეორია და პრაქტიკა, კვლევა-განზოგადება	5/125	15	30						2	2	76
13	AAC15006G1	არქიტექტურული პროექტი 3	10/250			45			30		2	2	171
14	AAC15106G1	ეკოლოგიური არქიტექტურა	5/125	15	30						1	1	78
	AAC15206G1	სივრცითი არქიტექტურული კონსტრუქციები	5/125	15					30		1	1	78
	AAC15306G1	არქიტექტურული ბიონიკა	5/125	15	30						2	1	77
	AAC15406G1	მდგრადი განვითარების შენობების არქიტექტურული კონსტრუქციები	5/125	15					30		1	1	78
	AAC15506G1	მაღლივი შენობების დაპროექტების პრინციპები	5/125	15					30		2	1	77
	ICT10806G2	ბიონიკური ფორმების კომპიუტერული მოდელირება	5/125				45					1	1

15	AAC21006G1	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები	5/125	15	30				1	1	78
16	AAC21106G1	ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება	5/125	15	30				1	1	78
17	PHS67606G1	ქალაქმშენებლობითი კლიმატოლოგია და არქიტექტურული ფიზიკა	5/125	15		30			2	1	77
18	AAC21206G1	ქალაქგეგმარების რეკონსტრუქციის და ეკოლოგიის სატრანსპორტო პრობლემები	5/125	15	30				2	2	76
19	AAC21306G1	ურბანიზირებული და ბუნებრივი ლანდშაფტების ტერიტორიების ურთიერთობა	7/175	15	45				1	1	113
20	AAC21406G1	ქალაქის პროექტირება (მცირე ქალაქის საცხოვრებელი რაიონი)	7/175		30		30		1	1	113
21	AAC21506G1	ქალაქის ისტორიული კვარტალის ურბანული და მოცულობით-სივრცითი რეკონსტრუქციის პროექტი (ფარული რეკონსტრუქცია)	6/150	15	45				1	1	88
22	AAC21606G1	ქალაქის ტერიტორიის ეკოლოგიური მდგრადობა	6/150	15	45				1	1	88
23	AAC21706G1	ქალაქის პროექტირება (ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია)	6/150		30		30		1	1	88
24	AAC21806G1	ისტორიული განაშენების ურბანული რეკონსტრუქციის პროექტი	5/125		45				1	1	78
25	AAC21906G1	ქალაქის სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემები, სისტემის “ადამიანი-ბუნებრივი გარემოს” ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიის საკითხები	3/81	15	15				1	1	43
	AAC22006G1	ქალაქთმშენებლობის თეორიის ესთეტიკის საკითხები	3/81	15	15				1	1	43
	AAC22106G1	ისტორიული გარემოს დაცვის, კომპლექსური რეკონსტრუქციის პრინციპები	3/81	15	15				1	1	43
	ICT10906G2	ქალაქის გარემოს კომპიუტერული მოდელირება	3/81			30			1	1	43
26	AAC50406G1	ლანდშაფტური პროექტირების ქალაქგეგმარებითი პრობლემები	5/125	15	30				2	2	76
27	AAC50506G1	ლანდშაფტური არქიტექტურის ისტორია - ძირითადი სტილები და მიმართულებები	5/125	15	30				1	1	78
28	AAC50606G1	ლანდშაფტის დაპროექტება: საქალაქო რეკრეაციული სივრცეების დაპროექტება	10/250	15	30		30		2	2	171
29	AAC50706G1	ქალაქის გამწვანების ძირითადი პრინციპები	5/125	15	30				2	2	76
30	AAC50806G1	დეკორატიული დენდროლოგია და მცენარეთა კომპოზიციის საკითხები	5/125	15	30				1	1	78
31	AAC50906G1	თბილისის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები	10/250	30	15		30		2	2	171
32	AAC51006G1	ლანდშაფტის დაპროექტება: ქალაქის ცენტრალური ნაწილის არქიტექტურულ-ლანდშაფტური რეკონსტრუქცია	10/250	22	8	45			1	1	173

33	AAC51106G1	ლანდშაფტის დაპროექტება: ისტორიული ბაღის რეკონსტრუქცია	5/125	15		30				2	2	76
34	AAC51206G1	მეცვაველიობა და ფიტოდიზაინი	5/125	6					39	1	1	78
35	AAC61506G1	ურბანული სივრცის დიზაინური დაგეგმარება	10/250	5					70	2	2	171
36	AAC61606G1	ქალაქის კოლორისტიკა	5/125	15					30	2	2	76
37	ART22006G1	ავეჯი და ერგონომიკა	5/125						45	1	1	78
38	AAC61706G1	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 1	10/250						75	1	1	173
39	AAC61806G1	მცირე არქიტექტურული ფორმები	5/125	10					35	2	2	76
40	AAC61906G1	გარე რეკლამა და ღამის განათება	5/125	6					39	2	2	76
41	AAC62006G1	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 2	10/250						75	1	1	173
42	ICT11006G2	გარემოს დიზაინის 3D მოდელირება	5/125				45			1	1	78
43	ART22106G1	ფოტო-ვიდეო ხელოვნება	5/125			45				1	1	78
44	ICT11106G2	ინტერიერის 3D მოდელირება	10/250				75			1	1	173
45	AAC71006G1	სტილი და სტილისტიკა ინტერიერში	5/125	15	30					1	1	78
46	AAC71206G1	საცხოვრებელი შენობების ინტერიერის დაპროექტება	10/250						75	1	1	173
47	AAC71106G1	ტექსტილი ინტერიერში	5/125	5					40	1	1	78
48	AAC71306G1	ფერი და ფაქტურა ინტერიერში	5/125	10	35					2	2	76
49	AAC71406G1	საზოგადოებრივი შენობების ინტერიერი დაპროექტება	10/250						75	1	1	173
50	AAC71506G1	სამრეწველო შენობების ინტერიერის დაპროექტება	10/250			30			45	1	1	173

პროგრამის ხელმძღვანელი

ლევან ბერიძე

ფაკულტეტის დასახელება ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ხაბეიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ნინო იმნაძე

მიღებულია

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
3 ივლისი 2012 წელი
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდირიგებულია

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N30)
29 მარტი 2018 წელი
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ნინო იმნაძე